საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 4 20 0001239200

29/12/2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იურიდიულ პირში, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღების მიზნით 2021 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 21 დეკემბრის N1217023 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იურიდიულ პირში, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღების მიზნით განისაზღვროს 2021 წლის პრიორიტეტები:

ა) ხელოვნება;
ბ) ბიზნესი და ადმინისტრირება;
გ) ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
დ) ინჟინერია და საინჟინრო საქმე;
ე) წარმოება და გადამუშავება;
ვ) არქიტექტურა და მშენებლობა;
ზ)სოფლის მეურნეობა;
თ) მეტყევეობა;
ი)მეთევზეობა;
კ) ვეტერინარია;
ლ) ინტერდისციპლინური;
მ) ჯანდაცვა;
ნ) პერსონალური მომსახურებები;
ო) ტრანსპორტის მომსახურებები.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი